

შპს „ალგეთი“-ს 2018 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 31 იანვრამდე პერიოდის

საფინანსო - ეკონომიკური საქმიანობის შესახებ

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ:

1.1 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ალგეთი“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 1995 წლის 26 დეკემბრიდან. რეგისტრაციის N:43/4 – 31.

1.2 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს - მშენებლობა, დასაწყობება და შენახვა.

1.3 საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

2.1 ორგანიზაციის მიერ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება პირველად და მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად სარგებლობს შეღავათით.

2.2 საწარმოს საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

2.3 ორგანიზაცია წინა საანგარიშგებო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვრიდან.

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც შპს „ალგეთი“ იყენებდა მსს ფასს-ზე გადასვლამდე, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებულია 2018 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით მსს საწარმოთა სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

2.5 ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპებისა და მსს ფასს-ის შესაბამისად. ორგანიზაციის ლიკვიდაცია-რეორგანიზაცია არ მიმდინარეობს და არ იგეგმება.

2.6 ფინანსური ანგარიშგება მოიცავს

- ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშგებას:

ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი			
შპს „ალგეთი“ (ს/ნ: 234159022)			
		31.12.2018	31.12.2017
აქტივები		GEL	GEL
მიმდინარე აქტივები			
თანხები ხელზე			0,86
თანხები საბანკო ანგარიშებზე		686521,42	81690,95
მოთხოვნა მიწოდებიდან და მომსახურებიდან (მისაღები თანხები)		812888,83	1268473,68
მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ		185326,44	-25844,78
წინასწარი გადახდები მომწოდებლებზე		633181,50	
საქონელი		587284,26	537081,73
სხვა აქტივები			
სულ მიმდინარე აქტივები		2905202,45	1861402,44
ფიქსირებული აქტივები			
შენობა - ნაგებობები		250419,20	260352,70
შენობა-ნაგებობები		1033732,89	1088088,28
აღჭურვილობა-დანადგარები		167275,50	172665,23
საოფისე ინვენტარი		1646,52	1800,95
ტრანსპორტი		39073,26	43752,49
სხვა ძირითადი საშუალებები		3430,82	3656,08
სულ ფიქსირებული აქტივები		1495578,19	1570315,73
სულ აქტივები		4400780,64	3431718,17

კაპიტალი და ვალდებულებები		31.12.2018	31.12.2017
მიმდინარე ვალდებულებები		GEL	GEL
ვალდებულება მომწოდებლების მიმართ			429791,32
მიღებული აგანსი		1447726,70	
ზედმეტობა ბიუჯეტში		-375,02	
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1447351,68	429791,32
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა ბანკების გრძელვადიანი ვალდებულებები		791817,59	994444,45

სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	791817,59	994444,45
სულ ვალდებულებები	2239169,27	1424235,77
დამფუძნებლების კაპიტალი:		
კაპიტალი და ვალდებულებები (სადამფუძნებლო კაპიტალი)		
	4000,00	4000,00
ძირითად საშუალებების გადაფასების რეზერვი	629249,13	629249,13
გაუნაწილებელი მოგება 2017 წლის ჩათვლით	1 374 232,46	1 236 904,80
საანგარიშო პერიოდის მოგება	154 129,52	137 328,66
სულ კაპიტალი	2161611,11	2007482,59
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	4400780,38	3431718,36

- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას:

2018 წელი		
ამონაგები		6181150,17
შემოსულობა		43138,06
მასალის თვითღირებულება	1295851,62	
ტექნიკის იჯარა	6559,93	
ა/მანქანების მომსახურება (ტრანსპ. ბეტონტუმ.	30998,12	
კომუნალური ხარჯი	7038,14	
ოფისის ხარჯი	1455,74	
ა/მანქანების ტესტირება	644,09	
ბანკის %	121892,22	
ბანკის მომსახურება (საკომისიო)	9983,99	
ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაო	3412462,62	
დაზღვევის ხარჯი	32220	
ექსპერტიზის ხარჯი	19943,73	
შრომის ანაზღაურება	1054200	
ცვეთა-ამორტიზაცია	74737,58	
სხვა ხარჯი	2170,93	
ჯამი:	6070158,71	6224288,23
2018 წლის მოგება		154129,52

- 2.7 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი აქტივების გაუფასურების ნიშნები არ დადგენილა, აქედან გამომდინარე აქტივების გაუფასურება ასახული არ არის.
- 2.8 მატერიალური მარაგები, საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, აღირიცხება უწყვეტი მეთოდით, ხოლო მარაგების თვითღირებულება გამოითვლება „საშუალო შეწონილი“ მოდელით;
- 2.9 შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;
- 2.10 მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება „ესტონური მოდელით“.
- 2.11 კომპანიის საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდში გაიზარდა მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე. დირექტორის გადაწყვეტილებით საანგარიშგებო პერიოდში დივიდენდი არ გაცემულა.
- 2.12 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

შპს „ალგეთი“-ს დირექტორი:

შალვა შალვაშვილი